

## მოსხენებითი ბარათი

“რაჭა ჰესი“-ს სათავე წყალმიმღებ ნაგებობასთან მისასვლელი გზის მდგომარეობის შესახებ

აღნიშნული გზის საერთო სიგრძე დაახლოებით 4 კმ-ის ფარგლებშია. სააგრეგატე შენობიდან დაწყებული საწყისი 2,5 კმ-ის სიგრძეზე, გზაზე რაიმე პრობლემები, რომლებიც საფრთხეს უქმნის მოძრაობას, არ შეინიშნება. პრობლემები იწყება მდინარე რიცეულას გადაკვეთაზე არსებული, ახლად აღდგენილი ხიდის (რომელიც სათავე ნაგებობიდან დაცილებულია დაახლოებით 1, 5 კმ-ით) შემდეგ, და გრძელდება, დაახლოებით 0,5-0,7 კმ. სიგრძეზე. კერძოდ ცალკეული ლოკალური უბნების მიხედვით გვაქვს შემდეგი მდგომარეობა (უბნების მიმდევრობა მოყვანილია ზევიდან ქვევითკენ მომართულებით, ანუ ჰესის სათავე ნაგებობიდან სააგრეგატე შენობისაკენ).

- I უბანი – 20 მ. სიგრძეზე გზის მარცხენა ფერდობი (მარცხენა, ანუ მდინარის მხარე, სათავეიდან სააგრეგატე შენობისაკენ მოძრაობისას) ჩაქცეულია და კუსტარულადაა გამაგრებული ხის მორებით. მორები შუა ნაწილით ჰაერშია და ამ მორებზე ზემოდან დაყრილია მიწა. ასეთნაირად გაფართოებული გზა არასაიმედოა, რადგან არ არსებობს იმის გარანტია რომ ეს მორები, გაუძღვება სატვირთო ავტომობილის დაწოლას, მით უმეტეს ნაწილობრივი დაღპობის შემდეგ. ამასთან გზაც შევიწროებულია 4,0-4,5 მ.-მდე. ამგვარად, ამ გზაზე სატვირთო ავტომობილით გავლა უკვე საშიშია.
- II უბანი – 32 მ.-მდე სიგრძეზე გზის მარჯვენა ფერდობიდან ადგილი აქვს ინტენსიურ ქვათაცვენას. ვიზუალურადაც ჩანს ფერდობზე მეტად საშიშად გადმოკიდებული ლოდები. აღნიშნული ლოდებისაგან დასაცავად გზის გაყოლებით საყრდენი კედლის მოწყობას აზრი არა აქვს, რადგან ეს ლოდები, იმდენად დიდია, რომ ჩამოვარდნის შემთხვევაში ამ საყრდენი კედელსაც ადვილად გაანგრევს
- III უბანი - უბნის სიგრძეა 12 მ.-მდე. მარჯვენა ფერდობიდან ადგილი აქვს ლოდების ჩამოცვენას. ეს ლოდები, როგორც ეს ვიზუალურად ჩანს, ამ უბანზე არ არის იმდენად დიდი, რომ ბეტონის საყრდენი კედლით ვერ მოხერხდეს დაგორებული ლოდების შეკალება. ფერდობის ძირში არის მასიური კლდე. იმავე უბანზე, უკვე მარცხენა (მდინარის მხარეზე), გზას გამოცლილი აქვს ძირი და გზის გასამაგრებლად (გასაგანიერებლად) გადებულია დიდი ხის (ხის მორის დიამეტრი 0,5 მ.-მდე) მორი, რომელზეც ზემოდან ყრია მიწა.
- IV უბანი - უბნის სიგრძე 30 მ.-მდეა. მარჯვენა ფერდობის მხრიდან ადგილი აქვს ქვების ცვენას, თუმცა ამ უბანზე, როგორც ეს ვიზუალურად ჩანს, ქვები არ არის მეტად დიდი.
- V უბანი – აღნიშნული უბნის სიგრძე დაახლოებით 150 მ.-ის ფარგლებშია, და გრძელდება, ზემოდ მითითებულ, მდინარე რიცეულას არსებულ, ხიდამდე. უბნის საწყის ნაწილზე, ვიზუალურად ფერდობი აგებულია თიხნარი გრუნტით. კლდე ნაკლებად შეინიშნება. ამგვარად ამ მონაკვეთზე, დიდი ზომის (1 მ.-ზე მეტი დიამეტრის) ქვების ჩამოცვენაც ნაკლებად მოსალოდნელია. უბნის ბოლოსაკენ უკვე მოჩანს ფერდობზე გადმოკიდებული დიდი ქვები, ძირგამოცლილი მიწის მასივები მასზედ ამოსული ხეებით.